



MES 6 23 0000544968



16/05/2023

## საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 28. 04. 2023

სხდომის დაწყების დრო: 12:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 18:15 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 27<sup>2</sup> მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

### საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - **საბჭოს თავმჯდომარე**;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი**;

- 4.ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
- 5.თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
- 6.მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
- 7.ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
- 8.ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
- 9.მარინა ქავთარაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
- 10.ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
- 11.ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
- 12.თინათინ ჭაბუკიანი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
- 13.გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
- 14.ნინო ბაქრაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
- 15.ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
- 16.ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
- 17.თამარ სირაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები**

სახელი, გვარი	სტატუსი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის

	სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ედვინი სირბილაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები**

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ნინო ალავიძე	<b>შპს ალტე უნივერსიტეტი</b>	ხარისხის მართვის და შესაბამისობის დეპარტამენტის დირექტორი	I
2	ირმა ნოზაძე		პროგრამების შესაბამისობის სამსახურის უფროსი	I
3	რონეო გალდავა	<b>სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი</b>	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
4	მაკა კაჭარავა		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
5	ზვიად გაბისონია	<b>შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის</b>	პროგრამის ხელმძღვანელი	IV
6	ხათუნა ბურკაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
7	ელენე მამუკელაშვილი		ფაკულტეტის დეკანი	IV
8	თამარ გვიანიშვილი		ბტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
9	ნანა გაფრინდაშვილი		ფაკულტეტის დეკანი, თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	V-VI
10	მარინა ალექსიძე		რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო და სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი	V-VI

11	დარეჯან გარდავაძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V-VI
12	ნინო კვიციანი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი	V-VI
13	შოთა ფოთოლაშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V-VI
14	ნინო ქიმერიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	V-VI
15	ნატალია ბარათელი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მრჩეველი	V-VI
16	მერაბ ჩუხუა		კავკასიოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი	V-VI
17	ნათია ჩანტლაძე		არმენოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	V-VI
18	ირინე ტატიშვილი		ასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	V-VI
19	მამუკა ბუცხრიკიძე		ებრაისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	V-VI
20	მაია ღამბაშიძე		ასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	V-VI
21	დარეჯან გარდავაძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V-VI
22	ნინო კვიციანი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი	V-VI
23	შოთა ფოთოლაშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის	V-VI

			უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
24	ნინო ქიმერიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	V-VI
25	ნატალია ბარათელი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მრჩეველი	V-VI
26	ირმა შიოშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილ ის სახელობის თელავის სახელმწიფო უ ნივერსიტეტი	პროფესორი, რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში	VII
27	სალომე თათულიშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VII
28	შორენა ლაზვიამჭვილი		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	VII
29	ცისანა მოღებაძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VII
30	თენგიზ სიმაშვილი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	VII
31	შალვა ჭკადუა		ასოც.პროფესორი, უნივერსიტეტის რექტორი	VII

**აკრედიტაციის ექსპერტები**

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონ ულისაშუალებით მონაწ ილეობის შესახებ	საკითხი
1	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
2	მარინე არაოშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
3	ქეთევან სვანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
4	ელისო ფანცხავა	(ჩაერთო „ზუმით“)	V
5	მარიამ ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
6	ოლივერ რაისნერი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
7	პაატა ბუხრაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

8	ზვიად ცხვედიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
9	სალომე ფილფანი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
10	ანი კვირიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
11	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
12	მარიამ ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
13	ბონდო კუპატაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
14	ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
15	ქეთევან დიღმელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
16	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
17	ლიანა ზაგაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VII

**სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული წევრები:**

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონულ საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნინო ლობჯანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V-VI
2	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V-VI

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის - "ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რუსული ფილოლოგიის" საბაკალავრო, "რუსული ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) საბაკალავრო, "სლავური ფილოლოგიის" სამაგისტრო, "სლავური ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) სამაგისტრო და "თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კავკასიოლოგიის“ საბაკალავრო და „კავკასიოლოგიის“ (რუსულენოვანი) საბაკალავრო, „კავკასიოლოგიის“ სამაგისტრო და „კავკასიოლოგიის“ (რუსულენოვანი) სამაგისტრო, „არმენოლოგიის“ საბაკალავრო, „ებრაისტიკის“ საბაკალავრო, „ასიოლოგიის“ საბაკალავრო

და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4.სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო და "საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

### **შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- კი

#### **დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს ალტე უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის, ფრანგული ფილოლოგიის, სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო და ევროპული ენები და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე“ 2023 წლის 18 აპრილის №427065 გადაწყვეტილებასა და გადაწყვეტილების დანართ №1-ში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;

4. შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის -"ციფრული მმართველობა დახელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა;

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რუსული ფილოლოგიის" საბაკალავრო, "რუსული ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) საბაკალავრო, "სლავური ფილოლოგიის" სამაგისტრო, "სლავური ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) სამაგისტრო და "თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კავკასიოლოგიის" საბაკალავრო და „კავკასიოლოგიის" (რუსულენოვანი) საბაკალავრო, „კავკასიოლოგიის" სამაგისტრო და „კავკასიოლოგიის" (რუსულენოვანი) სამაგისტრო, „არმენოლოგიის" საბაკალავრო, „ებრაისტიკის" საბაკალავრო, „ასირიოლოგიის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

7. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო და "საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. პირველი საკითხი: შპს ალტე უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა, დააყენა შუამდგომლობა შპს ალტე უნივერსიტეტის კორესპონდენციასთან დაკავშირებით. შპს ალტე უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ვადა ეწურება 2023 წლის პირველ მაისს, მიეცეს საშუალება, რომ მიმდინარე სასწავლო სემესტრი ამ პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტებმა დაასრულონ აკრედიტებულ რეჟიმში. წერილიდან ირკვევა, რომ აღნიშნული უნივერსიტეტი ამ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას აღარ გეგმავს, ამასთან, ჰყავს სტუდენტები როგორც დამამთავრებელ სემესტრზე ასევე სხვა სასწავლო კურსებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს თუ რამდენი აქტიური სტატუსის სტუდენტი სწავლობს აღნიშნულ პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა ნოზაძემ, უპასუხა, რომ ამჟამად, 133 აქტიური სტატუსის სტუდენტი. აქედან 30 არის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ხოლო დანარჩენი პირველი, მეორე და მესამე სემესტრის სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, ჰკითხა თუ რას გეგმავს დაწესებულება დარჩენილ სტუდენტებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა ნოზაძემ, უპასუხა, რომ აქტიური მოლაპარაკება აწარმოებს რამდენიმე უნივერსიტეტთან და შეთანხმებას მიაღწიეს. სასწავლო დაწესებულებები შეარჩიეს პროგრამის თავსებადობის, სწავლის საფასურის და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო სტუდენტთა ინტერესებიც. დაწესებულებამ ა წარმოა ინტენსიური შეხვედრა სტუდენტებთანაც, მათაც გაიზიარეს დაწესებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, სთხოვა დაეზუსტებინა დაწესებულებას არის თუ არა ყველა სტუდენტისთვის მისაღები და აქვს თუ არა დაწესებულებას შეთანხმებული აღნიშნული გადაწყვეტილება სტუდენტებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ სტუდენტთა ინტერესები მათთვის უპირატესია, და რა თქმა უნდა გათვალისწინებულია მათი მოსაზრებაც. საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, ჰკითხა, თუ როდის სრულდება აკადემიური კალენდარი. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კვალიფიკაცია მინიჭებული იქნება 5 ივლისს. საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, მიმართა ცენტრის წარმომადგენელს კითხვით, წერილში თუ არის მითითებული ვადა. ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა, უპასუხა, რომ კორესპონდენციაში მითითებულია 2023 წლის 5 ივლისი.

## **სხდომაზე გამოცხადდა საათობროშესვენება**

**დაწყებისდრო: 12:11**

**დასრულებისდრო: 12:15**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს ალტე უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის



დებულების” 278-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შპს ალტე უნივერსიტეტის შუამდგომლობა და “ინგლისური ფილოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2023 წლის 01 მაისიდან 2023 წლის 05 ივლისამდე) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

**2. მეორე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის, ფრანგული ფილოლოგიის, სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო და ევროპული ენები და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;**

ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა, დააყენა შუამდგომლობა, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორესპონდენციასთან დაკავშირებით. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის, ფრანგული ფილოლოგიის, სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო და ევროპული ენები და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვადა ეწურება 2023 წლის 1 მაისს, ითხოვენ, რომ მიეცეთ საშუალება აკრედიტებულ რეჟიმში დაასრულებინონ სტუდენტებს დამამთავრებელი სემესტრი და ვადას ითხოვენ 1 აგვისტომდე. აქვე, მითითებული აქვთ, რომ თურქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჰყავთ 4 სტუდენტი. ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე - 4, სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 7, ხოლო, ევროპული ენები და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჰყავთ 12 აქტიური სტატუსის სტუდენტი, რომელთაგან 6 დამამთავრებელი კურსის სტუდენტია.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, თუ რატომ გადაწყვიტეს არ შემოეტანათ სააკრედიტაციო განაცხადი აღნიშნულ პროგრამებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა კაჭარავამ, უპასუხა, რომ თურქოლოგიის და ფრანგული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით გამოიკვეთა ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით პრობლემა. კადრების სიმწირის გამო აღნიშნულ პროგრამების ხელახალ აკრედიტაციასთან დაკავშირებით თავი შეიკავეს.

**სხდომაზე გამოცხადდა საათობროშესვენება**

**დაწყებისდრო: 12:22**

**დასრულებისდრო: 12:25**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის, ფრანგული ფილოლოგიის, სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო და ევროპული ენები და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ;

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>8</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა და თურქოლოგიის, ფრანგული ფილოლოგიის, სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო და ევროპული ენები და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2023 წლის 01 მაისიდან 2023 წლის 01 აგვისტომდე) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

**3. მესამე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე“ 2023 წლის 18 აპრილის №427065 გადაწყვეტილებასა და გადაწყვეტილების დანართ №1-ში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;**

ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა დააყენა შუამდგომლობა საბჭოს მიერ 2023 წლის 31 მარტის სხდომაზე „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე“ 2023 წლის 18 აპრილის №427065 გადაწყვეტილებასა და გადაწყვეტილების დანართ №1-ში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ. კერძოდ, შესასწორებელია გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე“ 2023 წლის 18 აპრილის №427065 გადაწყვეტილებასა და გადაწყვეტილების დანართ №1-ში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 17

მოწინააღმდეგე: 0

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 18 აპრილის

№427065 გადაწყვეტილებასა და დანართ N1-ში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და აკრედიტაციის ძალაში შესვლის თარიღად ნაცვლად 2023 წლის 31 მარტისა, მიეთითოს 2023 წლის 18 აპრილი.

4. მეოთხე საკითხი: შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	III
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის დოქტორი / Doctor of Public Administration
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	არაუმეტეს 60 ECTS-ის კრედიტი (სასწავლო კომპონენტი)
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ., #82, თბილისი, 0162, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ ღვინიაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამა ითვალისწინებდა სავალდებულო 48 კრედიტს, ხოლო ექსპერტების რეკომენდაცია იყო, ? ინაარსობრივად გაუმართავია. „აკადემიური წერისა“ და „განათლების მენეჯმენტის“ სავალდებულო ნაწილში გადატანის შედეგად, პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ნაწილი გახდა 60 კრედიტი. მინისტრის ბრძანების თანახმად, ნებისმიერი პროგრამის სასწავლო კომპონენტი უნდა მოიცავდეს სავალდებულო და არჩევით ნაწილს. გარდა ამისა, სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს. მისი თქმით, უნივერსიტეტი ამით დაარღვევდა მინისტრის ბრძანებულებას, ვინაიდან და რადგანაც, პროგრამის სასწავლო კომპონენტში აღარ იქნებოდა არჩევითი ნაწილი. „აკადემიური წერის“ კურსი გადავიდა სავალდებულო სასწავლო კომპონენტში. ეს კურსი გავრცელდება იმ სუბტენტებზე, რომლებსაც არ უდასტურდებათ სამეცნიერო საქმიანობის შედეგების აკადემიური ფორმა (სამეცნიერო ნაშრომი, სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციები, მონოგრაფია, სახელმძღვანელო და/ან სხვა). „მეცნიერების მენეჯმენტი“ კი დარჩა არჩევით კურსში.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყებისდრო: 12:34**

**დასრულებისდრო: 12:35**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის - "ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის - "ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რუსული ფილოლოგიის" საბაკალავრო, "რუსული ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) საბაკალავრო, "სლავური ფილოლოგიის" სამაგისტრო, "სლავური ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) სამაგისტრო და "თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	რუსული ფილოლოგია Russian Philology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №182, 28.10.11
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	რუსული ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VI დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	რუსული ფილოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Russian Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება Language Acquisition
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი) Russian Philology (conducted in Russian)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება № 183, 28.10.11
5		რუსული ფილოლოგია

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	(რუსულენოვანი)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	I
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	რუსული ფილოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Russian Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება Language Acquisition
12	სწავლების ენა	რუსული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სლავური ფილოლოგია Slavic Philology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება № 218, 18.07.12
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სლავური ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	II
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სლავური ფილოლოგიის მაგისტრი / Master of Slavic Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11		0231

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ენის დაუფლება Language Acquisition
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი) Slavic Philology (conducted In Russian)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება № 232, 18.07.12
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	II
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სლავური ფილოლოგიის მაგისტრი / Master of Slavic Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება Language Acquisition
12	სწავლების ენა	რუსული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა Translation theory and translation practice
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება № 224, 18.07.12
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	II
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	თარგმანმცოდნეობის მაგისტრი/ Master of Translation Studies
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება Language Acquisition
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), V კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №36)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

**თვითაცილება განაცხადა მამუკა ხუსკივაძემ, ნინო ჭალაღანიძემ და თამარ ზარანდიამ**

**აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.



წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

## **მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**

### **ექსპერტების პოზიციის განხილვა**

#### **საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტმა, მარინე აროშიძემ მეოთხე სტანდარტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა მატერიალურ ბაზას, კერძოდ, ბიბლიოთეკას. პროფესორ-მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა ახალი ლიტერატურის ნაკლებობა. აღარ გამოიკვამა რუსული და სლავური ფილოლოგიის ფარგლებში უახლესი ლიტერატურა. ახალი ლიტერატურის გამოცემა გაამდიდრებდა ბიბლიოთეკას. თსუ-ს ლექტორებს პირადი სახსრებით აქვთ შეძენილი ეს ლიტერატურა, თუმცა, ბიბლიოთეკის დათვალიერებისას ვერ იქნა მოძიებული. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს ლექტორ-მასწავლებლებს ახალი ლიტერატურის გაციფრულებაში, რათა ყველა სტუდენტისთვის იყოს ხელმისაწვდომი და მზა ფორმით მოიძებნებოდეს ბიბლიოთეკაში. მაგალითად, ჭედის სახელმძღვანელო „სლავური ფილოლოგიის შესავალი“ ლექტორს ერთ ეგზემპლარად აქვს, რომელსაც უჭირს მისი ყველა სტუდენტისთვის გაზიარება. ქსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამთა ცხოვრებაძემ 2.4 კომპონენტის მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დავალებების, პრეზენტაციებისა და საგამოცდო თეორიული საკითხების ზუსტი ფორმულირება უნდა მოხდეს, რათა ნათლად გამოიკვეთოს შეფასების კომპონენტების კავშირი სილაბუსის მიერ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. ეს რეკომენდაცია შეეხებოდა კლასტერული აკრედიტაციის ყველა პროგრამას. სამი დამატებითი რეკომენდაცია გაიცა რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო და სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიმართ. მისი თქმით, ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო კურსის გამრავალფეროვნება უნდა მოხდეს სწავლის ისეთი მეთოდებით, როგორებიცაა: ესე, რეფერატი და ჩატარებული კვლევის პრეზენტაცია, რათა სილაბუსში დასახული მიზნების მისაღწევად იყოს ერთმანეთთან შესაბამისობაში. რუსული ფილოლოგიის პროგრამაზე მითითებულია, რომ მოდულის მიზნები უნდა იყოს თანხვედრაში რუსული ენის წერით და ზეპირი კომუნიკაციასთან მთარგმნელობითი უნარების მიზნის მიღწევის რეალისტურობასთან და საჭიროებებთან. ის მოდულები, რომლებიც ჩაშენებულია პროგრამაში აუცილებლად უნდა მოიცავდეს რუსული ენის წერით და ზეპირი კომუნიკაციური მეთოდების გამომუშავების პრაქტიკას. აღნიშნული დანარჩენ მოდულებშია, თუმცა არ არის მითითებული რუსული ფილოლოგიის მოდულის მიზნებში. ექსპერტმა, მარინე აროშიძემ განაცხადა, რომ რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო და სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში არის გათვალისწინებული სასწავლო კურსები, რომლებიც სტუდენტს თარგმანს ასწავლის, მაგრამ საბაკალავრო პროგრამაში არის რუსული ენიდან ქართულად თარგმნის თეორია და პრაქტიკა, ხოლო სამაგისტროში უკრაინულიდან ქართულად და პოლონურიდან ქართულად. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება და გამოასწოროს, რათა არ მოხდეს ცალმხრივი თარგმანის სწავლება.

#### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა გაფრინდაშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა არ გაითვალისწინა 1.4 და 1.5 ქვესტანდარტის რჩევა იმიტომ, რომ ლექსიკოგრაფია ენათმეცნიერების განსხვავებული დარგია, რომელიც პროგრამის მიზნებს არ ემსახურება. სტუდენტებს ლექსიკონზე მუშაობის უნარ-ჩვევები გამოუმუშავდებათ სწავლების მთელი ციკლის განმავლობაში, სხვადასხვა სასწავლო კურსით და სამაგისტრო ნაშრომით. ეს კურსებია:

პრაქტიკული იურიდიული თარგმანი 1; პრაქტიკული იურიდიული თარგმანი 2; თარგმანის პრაქტიკული კურსი 1; თარგმანის პრაქტიკული კურსი 2 და ა.შ. ნანა გაფრინდაშვილის თქმით, 4.4 ქვესტანდარტის რეკომენდაციის აღწერისას ექსპერტებმა თავიანთ დასკვნაში შემდეგი რამ დაწერეს: „თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო ბაზაზე.“ ფაკულტეტი უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო აუცილებელი რესურსით, თანამედროვე ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით, ბიბლიოთეკით, კვლევებით განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის რესურსებით და სხვ. ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ არსებულ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო ინსტიტუტებთან და სხვა წარმატებულ ორგანიზაციებთან დადებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და პროგრამის კომპონენტები განხორციელდება ფაკულტეტზე არსებული ყველა რესურსის გამოყენებით. სტუდენტების განკარგულებაშია კომპიუტერებითა და Wi-fi-ით აღჭურვილი თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა ინსტიტუტის ოფისი თსუ-ს მეხუთე კორპუსში, სადაც შესაძლებელია ჯგუფური აქტივობების განხორციელება სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობა, ლექტორებთან კონსულტაცია და სხვ. ექსპერტთა მიერ შეფასება - „მეტწილად შესაბამისობაში“ წინააღმდეგობაში მოდის პროგრამის ქვესტანდარტით აღწერილ კომპონენტთან. შესაბამისად, ასეთი შეფასება შესაძლებელია ტექნიკური ხარვეზი იყოს. უნივერსიტეტმა კლასტერული აკრედიტაციისათვის მზადება დაიწყო დიდი ხნის წინ, თუმცა ექსპერტთა შედეგები არ უნდა ყოფილიყო ე.წ. „გზეკუციური“, არამედ შეფასება კეთილგანწყობილი კოლეგების მიერ უნდა მომხდარიყო. პროგრამების გათანაბრების ტენდენცია არ უნდა დამკვიდრდეს ექსპერტთა შეფასების დროს. ნანა გაფრინდაშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ექსპერტებმა გაითვალისწინეს დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტზე. საბოლოო დასკვნა დროულად, დადგენილ ვადაში უნდა მიეწოდოს დაწესებულებას, რათა ამ უკანასკნელს ჰქონდეს საკმარისი დრო პასუხის მოსამზადებლად. ექსპერტებს მეტი სიფრთხილე და სიზუსტე მართებთ დასკვნების გაკეთების დროს, რათა ისეთი უხერხულობა არ შეექმნათ როგორც ეს გამოიკვეთა 2.2 სტანდარტში, კერძოდ სწავლა სწავლების მეთოდების შეფასებისას ჯერ რეკომენდაცია გაიცა, ხოლო შემდეგ რჩევით შეიცვალა. სასწავლო ლიტერატურისათვის სახსრები გამოყოფილია როგორც ფაკულტეტის, ისე უნივერსიტეტის ბიუჯეტში. მათი შეძენა სისტემატურად ხდება. რუსეთში გამოცემული წიგნი ცენტრალიზებულად დაწესებულებამ ვერ შეიძინა ამჟამად შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე და ექსპერტთა მიერ მთელი კლასტერის მასშტაბით განზოგადება იმისა, რომ დაწესებულებას ახალი ლიტერატურა არ აქვს, აბსურდია. გარდა ამისა, ეს წიგნები შესაბამისი კათედრის წიგნად ფონდში ინახება და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია. ეს რეკომენდაცია უნდა დაკონკრეტდეს და მხოლოდ გარკვეული უახლესი რუსულენოვანი ლიტერატურის საბიბლიოთეკო წიგნად ფონდში შეტანას დაუკავშირდეს. დაწესებულების წარმომადგენელმა, დარეჯან გარდავაძემ განაცხადა, რომ რუსული ფილოლოგიის მოდული სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დიდად განსხვავდება დანარჩენი ორი მოდულისაგან იმიტომ, რომ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში არც უკარინული და არც პოლონური ფილოლოგიის საბაკალავრო დონეზე კვალიფიკაციის მინიჭება და სპეციალისტის მომზადება არ ხდება. სტუდენტები, რომლებიც სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მოდიან რუსული ენის ცოდნით, უკრაინულ და პოლონურ მოდულებზე ბევრად სხვა ტიპის სამუშაოები აქვთ ჩასატარებელი, კერძოდ, ენის ინტენსიური და თარგმანის ცალკე გამოყოფილი კურსები, რომლებიც რუსული ფილოლოგიისთვის საჭიროებას არ წარმოადგენს იმიტომ, რომ ამ მოდულში ყველა სასწავლო კურსში ეს უნარები ინტეგრირებულია. შესაბამისად, პოლონური, უკრაინული და რუსული ფილოლოგიის მოდული სლავური ფილოლოგიის პროგრამაში განსხვავება სტურქტურაზეც აისახება და მოდულების მიზან-შედეგის ჩამოყალიბებაზე. დარეჯან გარდავაძემ ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საერთო შეფასებაში ასახულ რეკომენდაციებში ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით კონკრეტული სასწავლო

კურსები არ არის ჩამოთვლილი მაშინ, როცა ნარატივი დასკვნისა კონკრეტული სასწავლო კურსების ჩამონათვალს შეიცავს. ეს რეკომენდაცია დაწესებულებამ აღიქვა როგორც რჩევად. ექსპერტმა, თამთა ცხოვრებამემ მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში შერჩევით გადამოწმებული იქნა რამდენიმე ლიტერატურის არსებობა, რომელთაგან არც ერთი აღმოჩნდა ხელმისაწვდომი. ეს გახდა გაცემული რეკომენდაციის მიზეზი, თუმცა ნარატივში დეტალურად არის გაწერილი ის დადებითი მიგნებები, რომლებიც დანახული იქნა ვიზიტის ფარგლებში. გარდა ამისა, რუსული ფილოლოგიის მოდულში შესაბამისი სასწავლო კურსი, რომელიც მთარგმნელობით უნარებს გამოუმუშავებს კურსდამთავრებულს არ არის მაშინ, როდესაც უკრაინულში და პოლონურშია. დაწესებულებამ ამ კურსის გათვალისწინება და ამ საკითხების ინტეგრირება უნდა მოახდინოს, რათა არ იყოს სხვაობა მიღებულ შედეგებს შორის. დაწესებულების წარმომადგენლის, ნინო ქიმერიძის თქმით, საბაკალავრო პროგრამაში არის თარგმანის კურსი, რა თქმა უნდა, ორმხრივი. ექსპერტებს ვიზიტის დროს უნდა ენახათ სავარჯიშოები, რათა ასეთი პრობლემა არ ყოფილიყო.

### **საბჭოსთავმჯდომარემიმართასაბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები.**

საბჭოს მოწვეული წევრი, ირინე ლობჯანიძე დაინტერესდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის მიღების წინაპირობასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, როგორ ადგენს უნივერსიტეტი ბაკალავრიატის დონეზე სტუდენტის ენის ცოდნის კომპეტენციას. დაწესებულების წარმომადგენელმა, დარეჯან გარდავაძემ უპასუხა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ორი პროგრამა, კერძოდ რუსული ფილოლოგია რუსულენოვანი სწავლებით და რუსული ფილოლოგიის პროგრამა ქართულენოვანი სწავლებით. რუსული ფილოლოგიის პროგრამა ქართულენოვანი სწავლებით ერთიან ეროვნულ გამოცდებშია და ჩარიცხული სტუდენტის სწავლების ენა იქნება ქართული. რუსულენოვან პროგრამაზე მიღება ცალკე არის გამოცხადებული და ჩასაბარებელი ენა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ რუსულია განსაზღვრული. სასპეციალიზაციო გამოცდა მხოლოდ რუსული ფილოლოგიით არის განსაზღვრული. რუსული ენით ჩარიცხული სტუდენტები საბაკალავრო დონეზე უკრაინულ და პოლონურ ენას სწავლობენ ცალკე კურსებად, მაგრამ არა როგორც სასპეციალიზაციო პროგრამებს. ირინე ლობჯანიძემ კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა თუ როგორია პოლონური და უკრაინული მოდულების დასრულების შემდეგ სტუდენტის ენობრივი დონის მაჩვენებელი. დარეჯან გარდავაძემ უპასუხა, რომ პრაქტიკული ენის ფლობის დონე არ არის გამოყოფილი, მაგრამ პროგრამის აღწერილობით ნაწილში არის მითითებული ის ენობრივი უნარები, რომლებიც უნდა გამოიმუშაოს სტუდენტმა სამაგისტრო პროგრამის საფეხურზე კვლევის ელემენტებით. მარია ფილინამ განაცხადა, რომ პოლონური და უკრაინული არ წარმოადგენს საექსპერიმენტო მოდულს. ამ მოდულების არსებობა ნიშნავს ზრუნვას მომავალ თაობაზე. რუსული ფილოლოგია კი არის ძირითადი ბაზა ამ უკანასკნელი მოდულებისა. პოლონური ლიტერატურის ქართველი ხელმძღვანელი არ ჰყავს უნივერსიტეტს. გარდა ამისა, პოლონურ ენის სახელმძღვანელოც კი არ მოიძებნება ბიბლიოთეკაში. საბჭოს წევრი დაინტერესდა 2.4 კომპონენტთან დაკავშირებით. მისი თქმით, ექსპერტების მიერ გაიცა შემდეგი რჩევა: „სამეტყველო კომუნიკაციის და სოციალური უნარების გაუმჯობესების მიზნით სასურველია ჩაშენდეს სამეტყველო პრაქტიკა“. მას აინტერესებდა, რის საფუძველზე გაიცა აღნიშნული რჩევა. ექსპერტმა, მარინე აროშიძემ უპასუხა, რომ ენის სწავლა აუდიტორიაში შეუძლებელია. სტუდენტი აუდიტორიული სწავლების დროს იღებს თეორიულ მასალასა და გარკვეულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, მაგრამ სამეტყველო პრაქტიკა მოითხოვს ცოცხალ კომუნიკაციას საზოგადოებასთან. ეს რჩევა გაიცა რჩევის სახით და არა რეკომენდაციის. საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, იქნებოდა თუ არა უმჯობესი პროგრამაში ყოფილიყო ინტეგრირებული რუსეთის ისტორიის ან რუსული კულტურის განვითარების ტენდენციების სწავლება. მან აღნიშნა, რომ რუსული ფილოლოგიის ქართულენოვან პროგრამაში, ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში მოცემული ჩანაწერი აღწერს ფილოსოფიის შესავლის ძირითად თემებს, საქართველოს ისტორიის ძირითად ეტაპებს და

ფაქტებს. მას აინტერესებდა, შეიცავს თუ არა სისწორეს ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში მოცემული ჩანაწერი. გარდა ამისა, რუსულენოვან საბაკალავრო პროგრამაში შეზღუდულია შესავალი არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა განსხვავებით ქართული პროგრამისაგან, სადაც დაწესებულება 2 საგანს სთავაზობს ასარჩევად. რით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ სტუდენტს მხოლოდ 2 საგნის არჩევა შეუძლია. ექსპერტმა, ქეთევან სვანიძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ვიზიტის დროს მსგავსი კითხვა დაისვა პროგრამის ხელმძღვანელებთანაც. დაწესებულება რამდენიმე საგნის ფარგლებში ასწავლის რუსეთის ისტორიასა და რუსულ კულტურას. დაწესებულების წარმომადგენელმა, დარეჯან გარდავაძემ აღნიშნა, რომ ენის ფლობის დარგობრივი მახასიათებელი იძლევა ორ საშუალებას, კერძოდ ენის ფლობის წმინდა ფილოლოგიური კომპეტენციით გაყვანას და ენის ფლობის სოციო-კულტურული ასპექტებით კიდევ უფრო ფართო წარმოდგენას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ფილოლოგია, თუმცა, კულტურული ასპექტები და საკვანძო პუნქტები ჩაშენებულია რამდენიმე საგანში. რუსული ფილოლოგიის რუსულენოვანი ?? ფილოსოფია არ არის 120 კრედიტის ნაწილი, არამედ, ის არის საფაკულტეტო ბლოკის ნაწილი. “Major” პროგრამის 120კრედიტი წარმოდგენილია რუსული ფილოლოგიის საგნებით, რომელსაც ემატება ჰუმანიტარული კომპეტენციების განმსაზღვრელი საფაკულტეტო 50 კრედიტიანი საგნების ბლოკი, სადაც ფილოსოფიაც და საქართველოს ისტორიაც თანაბრად არის წარმოდგენილი როგორც რუსულენოვან, ისე ქართულენოვან პროგრამაზე.

საბჭოს თავჯდომარე, გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა რუსულენოვან პროგრამებთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, თუ როგორ ასრულებს დაწესებულება ინტერნაციონალიზაციის კომპონენტს. დარეჯან გარდავაძემ უპასუხა, რომ გაცვლითი პროგრამები დაწესებულებას რუსეთის უნივერსიტეტებთან არ აქვს, მაგრამ „ერასმუსის“ ფარგლებში ინსტიტუცია ცდილობს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებთან დაამყაროს თანამშრომლობა.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყებისდრო: 13:31**

**დასრულებისდრო: 14:45**

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რუსული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით და 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

## **კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

## **გადაწყვეტილება:**

- მოცემული პროგრამების ხელმძღვანელებთან მჭიდრო თანამშრომლობით, თსუ-სადმინისტრაციამ შეიძლება განიხილოს ძალების გაერთიანება და პროგრამებს შორისი კომუნიკაციის გაძლიერება „ჰუმანიტარული აღმოსავლეთმცოდნეობის“ ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის დაარსებით, რეგიონული ძირითადი და დამატებითი პროგრამებით, რომელიც მოიცავს რეგიონულ სპეციალიზაციას. ამრიგად, ამ „პატარა საგნების“ სპეციფიკური გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნას მათი დისციპლინების მიღმა და ხელი შეუწყოს როგორც ინდივიდუალური პროგრამების როლის დაზუსტებას როგორც სტრატეგიულ განვითარებაში, ასევე ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის დონეზე.
- სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს ინტერნაციონალიზაციის კონცეფციის შემუშავებას, რომელიც აძლიერებს უცხო ენების კურსებს და გულისხმობს ლექტორების საზღვარგარეთიდან ჩართვას, ერთობლივი პროგრამის შემუშავებას უცხოურ პარტნიორ დაწესებულებებთან, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სტუდენტთა და სასწავლო მობილობისთვის (ERASMUS, DAAD, ისრაელი და ა.შ.). ეს ასევე მოიცავს ინგლისური ენის კურსების მომზადებას საერთაშორისო სტუდენტების მაგისტრატურაზე მოსაზიდად.
- დაწესებულებამ განიხილოს ინსტიტუციონალიზებული გამოცდილების გაზიარება მოქმედი „პროგრამის განვითარების საბჭოებს“ შორის პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით, შესაძლოა წელიწადში ორჯერ, ყოველი სემესტრის ბოლოს და გაითვალისწინოს გამოცდილება და გაკვეთილები ინსტიტუციური სწავლისა და პროგრამებისა და კლასტერის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის.
- თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე საკითხების ცოდნაზე და გამოსაყენებელ უნარებზე (დასაქმებაზე) გაკეთებულ აქცენტს, ინტერდისციპლინური მიდგომა სფეროზე ორიენტირებულ პროგრამებში ცალსახად უნდა იყოს გამოკვეთილი და ცალკე განხილული სასწავლო გეგმებში. ისი ეპისტემოლოგიური მნიშვნელობის გამო, ეს შეიძლება გაკეთდეს ერთობლივად, ყველა მონაწილე პროგრამის მიერ.
- თსუ- ის ადმინისტრაციამ და პროგრამების ხელმძღვანელებმა უნდა დაადგინონ ამ კლასტერის პროგრამებს შორის სწავლის შედეგების პოტენციური სინერგია, რათა გაძლიერდეს მათი შიდა თანმიმდევრულობა (მაგ. ყველა სფეროსთან დაკავშირებული სასწავლო გეგმების ინტერდისციპლინურობის საკითხების განხილვა).
- მიზანშეწონილია, რომ ინფორმაცია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ იყოს დოკუმენტირებული ისე, რომ გაადვილდეს მიღებული გამოცდილების გამოყენება.

- პარტნიორ ორგანიზაციებთან მემორანდუმებზე დაყრდნობით, თსუ-ის ადმინისტრაციამ პროგრამის შეფასების და რეკლამირების მიზნებით დოკუმენტურად უნდა დაადასტუროს პროგრამების მიხედვით რომელი და რამდენი საგანმანათლებლო პრაქტიკა და სტაჟირება გაიარეს სტუდენტებმა (შედეგების დამოწმება).
- განხილულ იქნეს მასწავლებლის ადმინისტრაციული და პედაგოგიური მხარდაჭერა სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მეთოდების დანერგვისას, განსაკუთრებით მცირე სტუდენტური ჯგუფებისთვის (დიზაინ-აზროვნების პროცესი, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება და ა.შ.)
- სასურველია პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მეტი ინსტიტუციური მხარდაჭერა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და დარგის ასოციაციებთან თანამშრომლობის კუთხით.
- სასურველია, თვითშეფასების ანგარიში იყოს უფრო ინფორმატიული და მოიცავდეს ინფორმაციას რეალურად განხორციელებული აქტივობების შესახებ, რაც დადასტურდა ინტერვიუს შედეგებით.
- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა აქტიურად გამოიყენოს არსებული თანამშრომლობა ადგილობრივ და უცხოურ უნივერსიტეტებთან ან/და დაამყაროს ახალი პარტნიორული ურთიერთობები პროგრამების გარე შეფასების მიზნით.
- პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების კომპლექსური ინდიკატორების გამოყენება და პროგრამის ეფექტურობის შეფასება არა მხოლოდ რეაკტიული ინდიკატორების მომზადების პერიოდში, არამედ პროგრამის განხორციელების პროცესში სისტემატურად. ასევე, რეკომენდებულია მიღებული შედეგების დოკუმენტირება. ს იძლევა შესაძლებლობას შევადაროთ სხვადასხვა პერიოდში მიღებული ინფორმაცია და შევისწავლოთ ცვლილებების დინამიკა.
- სასურველია, თითოეული პროგრამისთვის შემუშავდეს შეფასების გეგმა (სქემა), რომელშიც მითითებული იქნება შეფასების ასპექტი, შეფასების სიხშირე, შეფასების მეთოდები, შეფასების პროცესში მონაწილეები და ა.შ.
- სასურველია გაუმჯობესდეს დამსაქმებელთა და არააფილირებული სპეციალისტების ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და გარე შეფასების პროცესში.
- სასურველია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მეტი ინსტიტუციური მხარდაჭერა საერთაშორისო სექტორულ ასოციაციებში გაწევრიანებისა და თანამშრომლობის თვალსაზრისით. მაგალითად, ამ მხრივ მნიშვნელოვანი იქნება ასირიოლოგიის საერთაშორისო ასოციაციასთან (<https://iaassyriology.com>) თანამშრომლობა.

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ასირიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,

მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ასირიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

### რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია თსუ- ში განხორციელდეს წესი „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება“- ყველა პროგრამის შემთხვევაში; აუცილებელია სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნების განსაზღვრა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შემუშავება, რომელმაც უნდა აჩვენოს დავალების ტიპები, როდის უნდა შესრულდეს, ვის მიერ, რა რაოდენობის სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი. როგრამის თითოეული სწავლის შედეგი შეფასდება.
2. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა იცოდეს, რომელი სასწავლო კურსები და სხვა აქტივობები გამოიყენება პროგრამის სწავლის შედეგების დანერგვის, გაღრმავებისა და განმტკიცებისთვის და როგორ განისაზღვრება მიზნობრივი ნიშნები.
3. დაშვების წინაპირობები მოვიდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში
4. დაშვების წინაპირობებში უნდა იყოს მითითებული, რომელი უცხო ენა უნდა იყოსათვისებული B2 დონეზე (ინგლისური, ფრანგული ან გერმანული).
5. პროგრამის გარე შეფასება პერიოდულად უნდა განხორციელდეს და შეფასების შედეგები იქნას გამოყენებული.
6. პროგრამის გარე შეფასების შედეგები ფორმალიზებული უნდა იყოს ექსპერტთა დასკვნის სახით

### რჩევები:

- მოცემული პროგრამების ხელმძღვანელებთან მჭიდრო თანამშრომლობით, თსუ-სადმინისტრაციამ შეიძლება განიხილოს ძალების გაერთიანება და პროგრამებს შორისი კომუნიკაციის გაძლიერება „ჰუმანიტარული აღმოსავლეთმცოდნეობის“ ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის დაარსებით, რეგიონული ძირითადი და დამატებითი პროგრამებით, რომელიც მოიცავს რეგიონულ სპეციალიზაციას. ამრიგად, ამ „პატარა საგნების“ სპეციფიკური გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნას მათი დისციპლინების მიღმა და ხელი შეუწყოს როგორც ინდივიდუალური პროგრამების როლის დაზუსტებას როგორც სტრატეგიულ განვითარებაში, ასევე ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის დონეზე.
- სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს ინტერნაციონალიზაციის კონცეფციის შემუშავებას, რომელიც აძლიერებს უცხო ენების კურსებს და გულისხმობს ლექტორების საზღვარგარეთიდან ჩართვას, ერთობლივი პროგრამის შემუშავებას უცხოურ პარტნიორ დაწესებულებებთან, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სტუდენტთა და სასწავლო



მობილობისთვის (ERASMUS, DAAD, ისრაელი და ა.შ.). ეს ასევე მოიცავს ინგლისური ენის კურსების მომზადებას საერთაშორისო სტუდენტების მაგისტრატურაზე მოსაზიდად.

- დაწესებულებამ განიხილოს ინსტიტუციონალიზებული გამოცდილების გაზიარება მოქმედი „პროგრამის განვითარების საბჭოებს“ შორის პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით, შესაძლოა წელიწადში ორჯერ, ყოველი სემესტრის ბოლოს და გაითვალისწინოს გამოცდილება და გაკვეთილები ინსტიტუციური სწავლისა და პროგრამებისა და კლასტერის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის.
- თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე საკითხების ცოდნაზე და გამოსაყენებელ უნარებზე (დასაქმებაზე) გაკეთებულ აქცენტს, ინტერდისციპლინური მიდგომა სფეროზე ორიენტირებულ პროგრამებში ცალსახად უნდა იყოს გამოკვეთილი და ცალკე განხილული სასწავლო გეგმებში. ისი ეპისტემოლოგიური მნიშვნელობის გამო, ეს შეიძლება გაკეთდეს ერთობლივად, ყველა მონაწილე პროგრამის მიერ.
- თსუ-ის ადმინისტრაციამ და პროგრამების ხელმძღვანელებმა უნდა დაადგინონ ამ კლასტერის პროგრამებს შორის სწავლის შედეგების პოტენციური სინერგია, რათა გაძლიერდეს მათი შიდა თანმიმდევრულობა (მაგ. ყველა სფეროსთან დაკავშირებული სასწავლო გეგმების ინტერდისციპლინურობის საკითხების განხილვა).
- მიზანშეწონილია, რომ ინფორმაცია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ იყოს დოკუმენტირებული ისე, რომ გაადვილდეს მიღებული გამოცდილების გამოყენება.
- პარტნიორ ორგანიზაციებთან მემორანდუმებზე დაყრდნობით, თსუ-ის ადმინისტრაციამ პროგრამის შეფასების და რეკლამირების მიზნებით დოკუმენტურად უნდა დაადასტუროს პროგრამების მიხედვით რომელი და რამდენი საგანმანათლებლო პრაქტიკა და სტაჟირება გაიარეს სტუდენტებმა (შედეგების დამოწმება).
- განხილულ იქნეს მასწავლებლის ადმინისტრაციული და პედაგოგიური მხარდაჭერა სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მეთოდების დანერგვისას, განსაკუთრებით მცირე სტუდენტური ჯგუფებისთვის (დიზაინ-აზროვნების პროცესი, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება და ა.შ.)
- სასურველია პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მეტი ინსტიტუციური მხარდაჭერა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და დარგის ასოციაციებთან თანამშრომლობის კუთხით.
- სასურველია, თვითშეფასების ანგარიში იყოს უფრო ინფორმატიული და მოიცავდეს ინფორმაციას რეალურად განხორციელებული აქტივობების შესახებ, რაც დადასტურდა ინტერვიუს შედეგებით.
- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა აქტიურად გამოიყენოს არსებული თანამშრომლობა ადგილობრივ და უცხოურ უნივერსიტეტებთან ან/და დაამყაროს ახალი პარტნიორული ურთიერთობები პროგრამების გარე შეფასების მიზნით.
- პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია პროგრამის შედეგების კომპლექსური ინდიკატორების გამოყენება და პროგრამის ეფექტურობის შეფასება არა მხოლოდ რეაქტიული ტიპისთვის მომზადების პერიოდში, არამედ პროგრამის განხორციელების პროცესში სისტემატურად. ასევე, რეკომენდებულია მიღებული შედეგების დოკუმენტირება. ს იძლევა შესაძლებლობას შევადაროთ სხვადასხვა პერიოდში მიღებული ინფორმაცია და შევისწავლოთ ცვლილებების დინამიკა.
- სასურველია, თითოეული პროგრამისთვის შემუშავდეს შეფასების გეგმა (სქემა), რომელშიც მითითებული იქნება შეფასების ასპექტი, შეფასების სიხშირე, შეფასების მეთოდები, შეფასების პროცესში მონაწილეები და ა.შ.
- სასურველია გაუმჯობესდეს დამსაქმებელთა და არააფილირებული სპეციალისტების ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და გარე შეფასების პროცესში.

- სასურველია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მეტი ინსტიტუციური მხარდაჭერა საერთაშორისო სექტორულ ასოციაციებში გაწევრიანებისა და თანამშრომლობის თვალსაზრისით. მაგალითად, ამ მხრივ მნიშვნელოვანი იქნება ასირიოლოგიის საერთაშორისო ასოციაციასთან (<https://iaassyriology.com>) თანამშრომლობა.

7 . მეშვიდე საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო და "საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია / History
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N9-04.11.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ისტორია (Bachelor Programme in History)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის ბაკალავრი / Bachelor in History
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია / History and Archaeology
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (ქართული უნივერსიტეტის ქ N1. 2200) საქართველო
15		

მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
---	--

№	ინფორმაციისაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია / Modern and Contemporary History of Georgia
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N 9 - 02.08.2012;
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ახალი და უახლესი ისტორია (Modern and Contemporary History
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის მაგისტრი / Master in History of Georgia
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია / History and Archaeology
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (ქართული უნივერსიტეტის ქ N1. 2200) საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

### **მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**

#### **ექსპერტების პოზიციის განხილვა**

#### **საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტმა, ბონდო კუპატაძემ განაცხადა, რომ კლასტერში დაჯგუფებული „ისტორიის“ საბაკალავრო და „ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები წარმოადგენდნენ შინაარსობრივად ერთმანეთთან დაკავშირებულ პროგრამებს, რაც ასახულია კურიკულუმებში. ორივე პროგრამასთან მიმართებით პირველი და მეხუთე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო მესამე და მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ზოგადი კლასტერულ რეკომენდაციას წარმოადგენდა ის, რომ დაზუსტდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, კერძოდ, პროგრამის სასწავლო გეგმის ლოგიკური ჯაჭვის გათვალისწინებით გადაიხედოს სწავლის შედეგებზე გამსვლელი სასწავლო კურსები დონეების მიხედვით და განისაზღვროს სწავლის შედეგების მიღწევის ადეკვატური სამიზნე ნიშნულები. დაწესებულებამ გაიზიარა რეკომენდაცია, რომ უნდა გაძლიერდეს უცხო ენის სწავლება. აკადემიური პერსონალი და სტუდენტები არადაამაკმაყოფილებლად აფასებენ უცხო ენის სწავლების დონეს. ზოგად კლასტერულ რეკომენდაციას წარმოადგენდა ისიც, რომ ამაღლდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის დონე პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების საკითხებთან დაკავშირებით და გაიზარდოს მათი ჩართულობის დონე ზემოაღნიშნულ პროცესებში. ერთი მხრივ, უნდა გაიზარდოს პროგრამების ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის დონე შეფასებისა და მონიტორინგის განხორციელების, ისევე როგორც მიღებული შედეგების გაანალიზების პროცესში, ხოლო, მეორე მხრივ, პროგრამების შეფასებისა და მონიტორინგის შედეგები გაზიარებული იქნას პროგრამის განმახორციელებელ მთლიან გუნდთან. გარდა ამისა, უნდა გადაიხედოს სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები და მოხდეს მათი შინაარსობრივი განახლება-მოდულიზაცია. ბონდო კუპატაძემ აღნიშნა, რომ არის ხარვეზები კონკრეტულ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით. „ისტორიის“ საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში: „ქართული ეთნოლოგია“ და „კახეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები“, „ქართული დიპლომატიის ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნემდე“ სასწავლო კურსის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაშია მოსაყვანი კურსების მისაღწევ შედეგებთან იმიტომ, რომ მოძველებულია ლიტერატურა, რომელიც განახლებას საჭიროებს. „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით დასარეგულირებელია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა და კომპონენტები. კერძოდ, ზედმეტად მაღალია ნაშრომის ხელმძღვანელის წილი - 100 ქულიდან 40 ქულა, რაც უნდა შეიცვალოს ნაშრომის შეფასების მეტი ობიექტურობისათვის. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. რეკომენდაციები გაცემულია პროგრამების გასაუმჯობესებლად.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა შიოშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კოლეგიალური მუშაობისთვის. დაწესებულება იზიარებს უცხო ენის სწავლების გაძლიერებას. „ისტორიის“ საბაკალავრო პროგრამაზე უცხო ენა ოთხი სემესტრის განმავლობაში ისწავლებოდა, ხოლო ახლა კი დაემატა მეხუთე და მეექვსე სემესტრი. ოთხი სემესტრი დაეთმო ზოგადი უცხო ენის სწავლებას, ხოლო მეხუთე და მეექვსე სემესტრი პროფესიული კუთხით უცხო ენის სწავლებას. გარდა ამისა, უცხო ენის სწავლის ხანგრძლივობა გაიზარდა სამაგისტრო პროგრამაზეც, კერძოდ სამი სასწავლო სემესტრის სახით, რომელიც გააუმჯობესებს უცხო ენის სწავლების დონეს. გაცვლითი პროგრამების მხრივ, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მე-4 ადგილზე ქვეყანაში აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებს შორის და რეგიონულ უნივერსიტეტებში მე-2 ადგილზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგ. სტუდენტები ადგილობრივ კონკურსებში იღებენ მონაწილეობას, თუმცა, ნაკლებად წარმატებულები არიან სხვა მიმართულების სტუდენტებთან შედარებით. დაწესებულების წარმომადგენელმა, თენგიზ სიმაშვილმა, სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რამდენიმე ხარვეზი იყო მასში, თუმცა გამოსწორებულია და მოყვანილია შესაბამისობაში. დაწესებულებამ ნაწილობრივ გაითვალისწინა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა კახეთის ისტორიული ძეგლების სასწავლო კურსის ძირითად ლიტერატურაად. რამდენიმე ლიტერატურა არის გამოსული 2002 და 1990 წელს, რომლებიც დამატებითი ლიტერატურის სახით იქნება წარმოდგენილი. სამაგისტრო ნაშრომის დარეგულირებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი დარეგულირებულია. შეფასების 100 ქულიდან 40 ქულა გადანაწილებულია ხელმძღვანელზე, რაც გამორიცხავს მთლიანად დადებით შეფასების მოპოვებას. ხელმძღვანელი უშუალოდ არის ჩართული ნაშრომის მომზადების პროცესში, სწორედ ამიტომ არის ნაშრომის ხელმძღვანელის წილი -100 ქულიდან 40 ქულა. კომისიის და რეცენზენტის შეფასებაზე მოდის 60 ქულა, რაც მათი კომპეტენციების ფარგლებში შესაფასებელი დათქმებისთვის ლოგიკურია. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, სალომე თათულიშვილმა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის ამაღლების დონესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართული განმახორციელებელი პერსონალი არის ინფორმირებული დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების ნაწილში და მუდმივად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. პროგრამის ხელმძღვანელი სამართლებრივი პროცედურების დაწყებამდე პროგრამის თვითშეფასების მიზნით ატარებს კვლევას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ განმახორციელებელი პერსონალი, ადმინისტრაცია, პოტენციური დამსაქმებლები და სტუდენტები და ა.შ. სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად რეკომენდირებულ ინდიკატორებში, რომლებიც გულისხმობს დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვების ანალიზს, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი კითხვარების საშუალებით არის ჩართული აღნიშნულ პროცესში. პერსონალის ჩართულობის და თანამშრომლობის დონე მაღალია როგორც ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ისე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან.

### **საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრი, მამუკა ხუსკივაძე დაინტერესდა საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, აქვს თუ არა დაწესებულებას ნაშრომის შესრულების დადგენილი წესი. გარდა ამისა, რა კრიტერიუმით ფასდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა. ასევე, დაწესებულებას აქვს თუ არა დადგენილი მინიმალური სტანდარტი მათი სამეცნიერო შეფასების. დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა შიოშვილმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტში არსებობს დებულება საბაკალავრო ნაშრომის დაცვისა და გაფორმების შესახებ, რომელშიც გაწერილია დეტალურად თუ რამდენ გვერდს უნდა მოიცავდეს, რა შრიფტით და რა

ინტერვალით უნდა იყოს გაფორმებული ნაშრომი. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა ფასდება შემდეგნაირად: ყოველ წელს აკადემიური პერსონალი ავსებს პროდუქტიულობის ფორმას, რომელშიც წარმოდგენილია გარკვეული აქტივობები, კერძოდ, სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა, სტატიებისა და მონოგრაფიების გამოცემა, სტუდენტის ხელმძღვანელობა და ა.შ. მათი პროდუქტიულობა ფასდება გარკვეული ქულით, რომელიც ჯამდება დეპარტამენტში, იხილება ფაკულტეტის საბჭოზე და გადაეცემა პრორექტორს სამეცნიერო დარგში, რომელსაც აკადემიურ საბჭოზე გამოაქვს აფილირებული პერსონალის სამეცნიერო მოღვაწეობის წლიური შეფასება. იმისათვის, რომ აკადემიური პერსონალი ჩაითვალოს პროდუქტიულად, მინიმუმ სამ კატეგორიაში აქტივობით უნდა იყოს წარმოდგენილი. სალომე თათულიშვილმა, ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულება გამოკითხვის ფორმების შინაარსობრივ განახლება-მოდულიზაციის შესახებ რეკომენდაციას იზიარებს. კითხვარების განახლება კი ახლო მომავალში მოხდება შინაარსობრივად. თენგიზ სიმაშვილმა განაცხადა, რომ დამსაქმებელს ბაკალავრის ხარისხის მქონე კურსდამთავრებული ურჩევნია დაასაქმოს, ვიდრე მაგისტრატურის იმიტომ, რომ ბაკალავრის მქონე კურსდამთავრებული წარმოადგენს ზოგადი პროფილის მქონე პირს. საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ბაკალავრიატის კურსდამთავრებული რა პოზიციაზე შეიძლება იყოს დასაქმებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, თენგიზ სიმაშვილმა უპასუხა, რომ ბაკალავრიატის კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმებული იყოს ლაბორანტის პოზიციაზე, რომელიც გულისხმობს ტექნიკური დეპარტამენტის დამხმარეს. ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტი უცხო ენას ამთავრებდა B2 დონეზე, თუმცა ცვლილებების შედეგად ასე აღარ იქნება. საბჭოს წევრი, ნინო ლაღანიძე დაინტერესდა პროგრამის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, არის თუ არა პროგრამაში ისეთი სასწავლო კურსები როგორებიცაა სამუზეუმო და საარქივო საქმე. თენგიზ სიმაშვილმა უპასუხა, რომ ასეთი ცალკე დისციპლინური კურსები პროგრამაში არ არის, თუმცა მაგისტრატურის დონეზე არის პროფესიული პრაქტიკა, რომლის დროსაც სტუდენტები გადიან პრაქტიკას სამუზეუმო და საარქივო დაწესებულებებში. საბჭოს წევრმა, თინათინ ჭაბუკიანმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, როგორ აფასებს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ნაშრომს. თენგიზ სიმაშვილმა აღნიშნა, რომ საბოლოო შეფასების უწყისის მიხედვით ხელმძღვანელი და რეცენზენტი აფასებენ ნაშრომს 40 – 40 ქულით, რომლებიც ჯამდება და დაჯამებულ ქულას ემატება კომისიის წევრების 60 ქულა. ხელმძღვანელისა და რეცენზენტის 40 ქულიანი საშუალო არითმეტიკული ემატება კომისიის წევრების შეფასების საშუალო არითმეტიკულს, საიდანაც გამოდის საბოლოო ქულა. საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, სამაგისტრო პროგრამის „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ მიმართ გაიცა შემდეგი რჩევა: „გასახლებელი და დასარეგულირებელია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა სავალდებულო და არჩევითი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებში.“ მას აინტერესებდა, უნდა იყოს თუ არა აღნიშნული რჩევა რეკომენდაციის სახით წარმოდგენილი. გარდა ამისა, სწავლის შედეგები იმეორებს თუ ეყრდნობა დარგობრივ მახასიათებელს. გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, უნდა ეთმობოდეს თუ არა პროგრამაში უფრო მეტი ადგილი რეგიონის ისტორიის სწავლების საკითხს. გარდა ამისა, რა გავლენას მოახდენს ორი სემესტრი ინგლისური ენის დამატება პროგრამის სტრუქტურაზე და რის ხარჯზე განხორციელდება. ექსპერტმა, ბონდო კუპატაძემ, უპასუხა, რომ სამაგისტრო პროგრამის კურსებში, როდესაც კურსის სწავლის პროცესი მიმდინარეობს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის მკვეთრი გამიჯვნა არ ხდება. საბაკალავრო პროგრამაში და მის კურსებში სავალდებულო ლიტერატურა სასურველია რომ იყოს ერთი, ორი ან სამის ფარგლებში, მაგრამ სამაგისტრო კურსში სავალდებულო ლიტერატურა შეიძლება იყოს ათი ან თხუთმეტი, თუმცა არის ისეთი კურსები, რომლებშიც ეს საკითხი დარეგულირებული არ არის. დაწესებულების წარმომადგენელმა, თენგიზ სიმაშვილმა განმარტა, რომ ლიტერატურათა დიდი რაოდენობა

წყაროს სახით არის მოცემული. სამაგისტრო დონე მოიცავს წყაროებზე მუშაობას და შესაბამისად, სტუდენტს შეთავაზებული იმიტომ აქვს დიდი რაოდენობა ლიტერატურათა ჩამონათვალი. ექსპერტმა, ქრისტინე ჩიხლაძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო დონეზე შესაძლებელია სწავლის შედეგების შემცირება. პროგრამის ხელმძღვანელთან საუბრისას გამოიკვეთა დარგობრივ მახასიათებელში გაჟღერებული ის შინაარსი, რომელიც სწავლის შედეგებს ჰქონდათ. დაწესებულების წარმომადგენელმა, თენგიზ სიმაშვილმა რეგიონის ისტორიასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტებთან ამ საკითხზე განხილვა იყო. დაწესებულებას სურს, რომ სამაგისტრო დონე უფრო მეტად განავითაროს, რომელიც გამონატული იქნება სასწავლო კურსების აზერბაიჯანისა და სომხეთის ისტორიის დამატებაში. უნივერსიტეტის დაფინანსებით განხორციელდა რამდენიმე კვლევა „პანკისის ხეობასთან“ და „კახეთში ჩამოსახლებულ ლეკებთან“ დაკავშირებით, რომლებიც აისახება შესაბამის კურსებში. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით მოხდება იმ კურსების შემცირება, რომლითაც მოხდება ინგლისური ენის კურსის გაძლიერება. საბჭოს მდივანმა, რატი რატიანმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რა სახის კვლევით საქმიანობაში არიან ჩართული სტუდენტები. თენგიზ სიმაშვილმა უპასუხა, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული კვლევით აქტივობებში, კერძოდ „პანკისის ხეობასთან“ და „კახეთში ჩამოსახლებულ ლეკებთან“ დაკავშირებით კვლევით პროექტებში. გარდა ამისა, პროექტ „თელავის ტურისტული მარშრუტში“ აქტიურ მონაწილეობას იღებენ სტუდენტები. საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშილმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, როგორია სტუდენტების ინფორმირებულობა ნაშრომის შედეგის გასაჩივრებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, რატომ არ არის მითითებული სტუდენტების რაოდენობა მემორანდუმებში. დაწესებულების წარმომადგენელმა, თენგიზ სიმაშვილმა უპასუხა, რომ პრაქტიკაზე დადიან მაგისტრატურის სტუდენტები, რომელთა რაოდენობა ხუთს, ოთხს ან ექვსს შეადგენს, თუმცა, ბაკალავრის სტუდენტებსაც შეუძლიათ მონაწილეობა, რომელთა რაოდენობა 20 სტუდენტს შეადგენს. მემორანდუმებში სტუდენტთა რაოდენობა იმიტომ არ არის მითითებული, რომ არასოდეს არ გამოთქმულა შენიშვნა მუზეუმის ან ეროვნული არქივის თანამშრომლებისაგან სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, საქართველოს ისტორია ისწავლება ექვს ნაწილად, თუმცა თავისუფალ არჩევით კომპონენტებში დაწესებულება სტუდენტს სთავაზობს „საქართველოს ისტორიის ზოგად კურს“. მას აინტერესებდა, რითი აიხსნება თავისუფალ არჩევით კომპონენტებში „საქართველოს ისტორიის“ ზოგადი კურსის არსებობა. თენგიზ სიმაშვილმა უპასუხა, რომ თავისუფალ არჩევით კომპონენტში „საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსი“ არ ეხება ისტორიის სპეციალობის სტუდენტებს, არამედ, ეს ეხება სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს. საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. 3.1 ქვესტანდარტის დასკვნაში ექსპერტებს მითითებული აქვთ, რომ სხვადასხვა სილაბუსში გათვალისწინებულია ჩამენებული პრაქტიკული საქმიანობა. მას აინტერესებდა, რომელ სასწავლო კურსებშია გათვალისწინებული პრაქტიკული საქმიანობა. თენგიზ სიმაშვილმა უპასუხა, რომ ნუმიზმატიკას პრაქტიკული საქმიანობა გააჩნია იმიტომ, რომ სტუდენტები დადიან ექსკურსიებზე და მუზეუმებში, სადაც ეცნობიან მონეტებს, მედლებს, ორდენებს, თუმცა პრაქტიკა პირდაპირი მნიშვნელობით არ გულისხმობს იმას, რომელსაც სტუდენტები მაგისტრატურაზე გადიან. გარდა ამისა, პრაქტიკა ეხება არქეოლოგიასაც, სადაც სტუდენტები გათხრების დროს ჩართული არიან მოხალისეებად. ექსპერტმა, ქეთი დიღემლაშვილმა განაცხადა, რომ ლექციების პერიოდულად ხდება სტუდენტების როგორც ძეგლებზე, ისე მუზეუმებში და არქივებში გასვლა. საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ ექსპერტს დასკვნაში უწერია, რომ ჩამენებული პრაქტიკა სილაბუსებშია გათვალისწინებული, თუმცა ეს რეალურად არ ჩანს.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყებისდრო: 17:38**

**დასრულებისდრო: 18:11**

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით და 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

**რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია აკადემიური და ადმინისტრაციული გუნდის ჩართულობით დაზუსტდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. კერძოდ კი, პროგრამის სასწავლო გეგმის ლოგიკური ჯაჭვის გათვალისწინებით გადაიხედოს სწავლის შედეგებზე გამსვლელი სასწავლო კურსები დონეების მითითებით და განისაზღვროს სწავლის შედეგების მიღწევის ადეკვატური სამიზნე ნიშნულები.
2. გაძლიერდეს უცხო ენის სწავლება, რაც არადამაკმაყოფილებლად არის შეფასებული თავად სტუდენტების და პოტენციური დამსაქმებლების მიერ.
3. რეკომენდებულია განისაზღვროს სტუდენტთა რაოდენობები პრაქტიკის მემორანდუმებში.
4. დაწესებულებამ მეტი ძალისხმევა გასწიოს სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობაზე, რისთვისაც სასურველია გაუმჯობესდეს დაწესებულებაში უცხო ენის სწავლების დონე.
5. რეკომენდებულია, ამაღლდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის დონე პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების საკითხებთან დაკავშირებით და გაიზარდოს მათი ჩართულობა აღნიშნულ პროცესებში.
6. რეკომენდებულია, ერთი მხრივ, გაიზარდოს პროგრამების ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის დონე შეფასებისა და



მონიტორინგის განხორციელების, ისევე როგორც მიღებული შედეგების გაანალიზების პროცესში, ხოლო მეორე მხრივ, პროგრამების შეფასებისა და მონიტორინგის შედეგები გაზიარებული იქნას პროგრამის განმახორციელებელ მთლიან გუნდთან.

7. რეკომენდებულია, გადაიხედოს სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები და მოხდეს მათი შინაარსობრივი განახლება-მოდულიზაცია.
8. რეკომენდებულია ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსი "ისტორიის მეცნიერების შესავალი"
9. რეკომენდებულია ისტორიის საბაკალავრო პროგრამა დაემატოს რეგიონის ისტორიის შემსწავლელი სასწავლო კურსები.
10. რეკომენდებულია ისტორიის საბაკალავრო პროგრამას დაემატოს სამუზეუმო-საარქივო საქმის სავალდებულო სასწავლო კურსი.
11. რეკომენდებულია უცხო ენების სასწავლო კურსები გადატანილ იქნას არჩევით სასწავლო კურსებში და ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი გაძლიერდეს დარგობრივი სასწავლო კურსებით.
12. სასწავლო კურსებში: „ქართული ეთნოლოგია“ და „კახეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები“, „ქართული დიპლომატიის ისტორია უძველესი დროიდან მე-19 საუკუნემდე“ სასწავლო კურსის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაშია მოსაყვანი კურსების მისაღწევ შედეგებთან.
13. კახეთის ისტორიული ძეგლების სასწავლო კურსის ძირითად ლიტერატურაში ჩაემატოს შემდეგი წიგნები: ვ. ბერიძის ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ორ ტომად; პ. ზაქარაიას ქართული ციხე-სიმაგრეების ისტორია უძველესიდან - მე-18 საუკუნის ბოლომდე; ლ. ჭილაშვილის კახეთის კახეთის ქალაქები; ლ. ჭილაშვილის ქალაქები ფეოდალურ საქართველოში; გ. ჩუბინაშვილის კახეთის არქიტექტურა.

## რჩევები:

- სწავლების პროცესში ელექტრონული და ციფრული მეთოდების გამოყენების გაზრდა.
- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა გუნდმა დეტალურად შეისწავლოს შეფასების მეთოდები, ასევე განხორციელდეს სიღრმისეული მიზნობრივი კვლევები, რათა დადგინდეს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებებში დაფიქსირებული მაღალი მაჩვენებლების გამომწვევი მიზეზები.
- კარგი იქნება თუ საბიბლიოთეკო სივრცე ადაპტირდება შშმ პირებისათვის, რადგან აღნიშნული თითოეულ სტუდენტს, მათი ფიზიკური შესაძლებლობისა, მისცემს სრულფასოვანი სწავლის შესაძლებლობას.
- სასურველია, თვითშეფასების ანგარიში წარმოადგენდეს ანალიზურ დოკუმენტს, სადაც დასაბუთებული იქნება პროგრამების კლასტერში გაერთიანების საჭიროება, მათ შორის არსებული ლოგიკური ბმა და ამასთან, კრიტიკულად იქნება შეფასებული პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, დადგენილი იქნება კვლევის შედეგებით იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეები.
- სასურველია, დარგობრივი დამსაქმებლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში.
- სასურველია ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გემაში, თავისუფალი არჩევითი კომპონენტები მიეთითოს კონკრეტულად აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისათვის.
- სასურველია გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში პრაქტიკისა და სტიპენდია/ჯილდო/წახალისების აქტივობებისთვის გამოყოფილი თანხები და მოხდეს მათი გაზრდა.

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით და 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებები და რეკომენდაციები. შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

**რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია აკადემიური და ადმინისტრაციული გუნდის ჩართულობით დაზუსტდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. კერძოდ კი, პროგრამის სასწავლო გეგმის ლოგიკური ჯაჭვის გათვალისწინებით გადაიხედოს სწავლის შედეგებზე გამსვლელი სასწავლო კურსები დონეების მითითებით და განისაზღვროს სწავლის შედეგების მიღწევის ადეკვატური სამიზნე ნიშნულები.
2. გაძლიერდეს უცხო ენის სწავლება, რაც არადაამაკმაყოფილებლად არის შეფასებული თავად სტუდენტების და პოტენციური დამსაქმებლების მიერ.
3. რეკომენდებულია განისაზღვროს სტუდენტთა რაოდენობები პრაქტიკის მემორანდუმებში.
4. დაწესებულებამ მეტი ძალისხმევა გასწიოს სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობაზე, რისთვისაც სასურველია გაუმჯობესდეს დაწესებულებაში უცხო ენის სწავლების დონე.

5. რეკომენდებულია, ამაღლდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის დონე პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების საკითხებთან დაკავშირებით და გაიზარდოს მათი ჩართულობა აღნიშნულ პროცესებში.
6. რეკომენდებულია, ერთი მხრივ, გაიზარდოს პროგრამების ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის დონე შეფასებისა და მონიტორინგის განხორციელების, ისევე როგორც მიღებული შედეგების გაანალიზების პროცესში, ხოლო მეორე მხრივ, პროგრამების შეფასებისა და მონიტორინგის შედეგები გაზიარებული იქნას პროგრამის განმახორციელებელ მთლიან გუნდთან.
7. რეკომენდებულია, გადაიხედოს სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები და მოხდეს მათი შინაარსობრივი განახლება-მოდერნიზაცია.
8. რეკომენდებულია განისაზღვროს სტუდენტთა რაოდენობები პრაქტიკის მემორანდუმებში.
9. დასარეგულირებელია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა და კომპონენტები. კერძოდ, ზედმეტად მაღალია ნაშრომის ხელმძღვანელის წილი - 100 ქულიდან 40 ქულა, რაც უნდა შეიცვალოს ნაშრომის შეფასების მეტი ობიექტურობისათვის.


### ჩვენები:

- სწავლების პროცესში ელექტრონული და ციფრული მეთოდების გამოყენების გაზრდა.
- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა გუნდმა დეტალურად შეისწავლოს შეფასების მეთოდები, ასევე განხორციელდეს სიღრმისეული მიზნობრივი კვლევები, რათა დადგინდეს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებებში დაფიქსირებული მაღალი მაჩვენებლების გამომწვევი მიზეზები.
- კარგი იქნება თუ საბიბლიოთეკო სივრცე ადაპტირდება შშმ პირებისათვის, რადგან აღნიშნული თითოეულ სტუდენტს, მათი ფიზიკური შესაძლებლობისა, მისცემს სრულფასოვანი სწავლის შესაძლებლობას.
- სასურველია, თვითშეფასების ანგარიში წარმოადგენდეს ანალიზურ დოკუმენტს, სადაც დასაბუთებული იქნება პროგრამების კლასტერში გაერთიანების საჭიროება, მათ შორის არსებული ლოგიკური ბმა და ამასთან, კრიტიკულად იქნება შეფასებული პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, დადგენილი იქნება კვლევის შედეგებით იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეები.
- სასურველია, დარგობრივი დამსაქმებლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში.
- გასაახლებელი და დასარეგულირებელია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა სავალდებულო და არჩევითი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებში. სასურველია, რომ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის გარკვეული კურსების სილაბუსის შინაარსში მეტად აისახოს საქართველოს ადგილი და როლი იმ პერიოდის მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სავალდებულო და არჩევითი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების დიდი ნაწილი წარმოდგენილი იყოს კვლევით კომპონენტზე დამყარებული ისეთი სასწავლო კურსებით, რომლებშიც მოაზრებულია რეგიონის სპეციფიკა და სტუდენტების სამომავლო ჩართულობა სამეცნიერო კვლევებში.
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში სავალდებულო მოთხოვნად უნდა ფიქსირდებოდეს: ნაშრომის მიზანი, სიახლე, წყაროების და ლიტერატურის მიმოხილვა. სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის შერჩევისას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სასურველია მეტ აქცენტს ახდენდეს რეგიონის ისტორიაზე, ამგვარად სამაგისტრო ნაშრომი მეტად ორიგინალური და კვლევითი კომპონენტის შემცველი იქნებოდა.

- სასურველია, დაზუსტდეს სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი და დეტალურად გაიწეროს ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტისთვის (სტიპენდიები, წიგნადი, ელექტრონული და საბიბლიოთეკო ფონდების განახლება) გამოყოფილი ფინანსური რესურსები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შენდგომ საბჭოს სხდომა 2023 წლის 28 აპრილის 18:15 საათზე გამოცხადდა დახურულად.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
რატიანი რატი



რ. რატიანი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბუჩაშვილი გოდერძი

